საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ერისთავის ქ. №8-ში, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები“.

შ.პ.ს. „კიკვიძე 2“-ის ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2017 წლის ოქტომბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ერისთავის ქ. №8-ში, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ერისთავის ქ. №8-ში, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2017 წლის სექტემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი გ. ყიფშიძე. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევები და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები, ბეტონის ნაკეთობებზე მათი აგრესიულობის დასადგენად.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 9 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. მიწერილობა---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე---------- 1 გვ.
5. ცხრლი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, დასკვნით---------- 4 გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 2 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 10 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, მანსარდით და ერთი მიწისქვეშა სართულით ავტოპარკინგისათვის. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 7 ჭაბურღილი. ადრე 2016 წელს გაყვანილი იყო 7 ჭაბურღილი და 2017 წელს დამატებით გაიბურღა 2 ჭაბურღილი, სიგრძით თითოეული 20.0 მეტრი. საკვლევი უბნის დასახასიათებლად გამოყენებული იქნა ძველი №1 და №6 ჭაბურღილების მასალები. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი

თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხა, მყარი-ნახევრადმყარი კონსისტენციის;
3. ფენა 3 – თიხა, რბილპლასტიკური კონსისტენციის, ხრეშის 15-20%-მდე ჩანართებით;
4. ფენა 4 – კენჭნარი, ქვიშის 15-20% შემავსებლით;
5. ფენა 5 – ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული;
6. ფენა 6 – ძირითადი ქანი, არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, გამოფიტული

ანგარიშში მოკლედ არის არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების (გარდა ნაყარი გრუნტისა) საინჟინრო გეოლოგიური გამოკვლევები. განსაზღვრულია მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე ავტორი იძლევა რეკომენდაციებს მომავალი შენობის ფუძე-გრუნტების შერჩევის თაობაზე.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილია მიწის ზედაპირიდან 10.0-10.1 მ. სიღრმეზე. წყალი, როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, იჩენს სხვადასხვა ინტენსივობის აგრესიულობას სხვადასხვა ცემენტებზე დამზადებული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ერისთავის ქ. №8-ში, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01025010537

სახელი გეგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ——————

№ ღ 0266413

პირადი ხელმოწერა

მისამართი ——————

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე ქვეგანყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ——————

ბ.ა. ხელმძღვანელის პირადი ხელმოწერა